საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

თბილისი 0114, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: (995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

საქართველოს პარლამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

8 Rustaveli Avenue, 0114,Tbilisi,Georgia,
(995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამეტის წევრების გიორგი ხახუბიას, სალომე ჯინჯოლავას, გოდერძი ჩანქსელიანის, ვარლამ ლიპარტელიანისა და ზაურ დარგალის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს „წითელი ნუსხისა და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა პირველი მოსმენისათვის განიხილა საქართველოს პარლამეტის წევრების გიორგი ხახუბიას, სალომე ჯინჯოლავას, გოდერძი ჩანქსელიანის, ვარლამ ლიპარტელიანისა და ზაურ დარგალის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს „წითელი ნუსხისა და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№07-3/81; 25.06.2025) და აღნიშნავს, რომ მათ მიმართ აქვს შემდეგი შენიშვნები:

I. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის მიმართ:

1. წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოდ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაცვლად განისაზღვრასაქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო. განსახილველი პროექტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე. ამასთანავე, აღნიშნულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის ან მათი ძალადაკარგულად გამოცხადების უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - გარემოს

ეროვნულ სააგენტოს. რაც შეეხება, ამ უკანასკნელ დანაწესს, რომლითაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელს ენიჭება უფლებამოსილება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისა, იგი სამართლებრივი თვალსაზრისით გადამუშავებას საჭიროებს. მინისტრის აქტი მასზე დაბალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი აქტით, ამ შემთხვევაში, სააგენტოს ხელმძღვანელის აქტით, ძალადაკარგულად ვერ გამოცხადდება, თანახმად, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა.

2. კანონპროექტის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც დასკვნითი დებულებაა და კანონის ამოქმედება ეხება, უნდა გაიმიჯნოს გარდამავალი დებულებებისგან და ჩამოყალიბდეს კანონპროექტის მე-3 მუხლად.

3. კანონპროექტი დასახვეწია სამართლებრივი ტექნიკისა და რედაქციული თვალსაზრისით.

II. „საქართველოს „წითელი ნუსხისა და „წითელი წიგნის" შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" კანონპროექტის მიმართ:

1. განსახილველი პროექტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე. ამასთანავე, აღნიშნულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის ან მათი ძალადაკარგულად გამოცხადების უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - გარემოს ეროვნულ სააგენტოს. რაც შეეხება, ამ უკანასკნელ დანაწესს, რომლითაც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელს ენიჭება უფლებამოსილება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების, იგი სამართლებრივი თვალსაზრისით გადასამუშავებელია. მინისტრის აქტი მასზე დაბალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი აქტით, ამ შემთხვევაში, სააგენტოს ხელმძღვანელის აქტით, ძალადაკარგულად ვერ გამოცხადდება, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

2. კანონპროექტის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც დასკვნითი დებულებაა და კანონის ამოქმედებას ეხება, გარდამავალი დებულებისგან უნდა გაიმიჯნოს და კანონპროექტის მე-3 მუხლად ჩამოყალიბდეს.

3. კანონპროექტი დასახვეწია როგორც სამართლებრივი ტექნიკის, ისე რედაქციული თვალსაზრისით.

ალექსანდრე ტაბატაძე
დეპარტამენტის უფროსი

შემსრულებელი: ეკა მელიქიშვილი (წამყვანი სპეციალისტი)